

## ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2 (C#-ის ბაზაზე) II სემესტრი.2019-2020 წელი (დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

### Question 1

წინაპარი არის კლასი, რომლის:

Select one:

- a. მხოლოდ ცვლადები ხდება სხვა ახალი კლასის წევრები
- b. ცვლადები და მეთოდები ავტომატურად ხდება სხვა ახალი კლასის წევრები
- c. ცვლადები და მეთოდები ავტომატურად არ ხდება სხვა ახალი კლასის წევრები

### Question 2

```
class klasi1 { private int cvladi1; }  
class klasi2 : klasi1 { public int cvladi2; }  
კოდში:
```

Select one:

- a. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი ხილულია klasi2 კლასში
- b. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი უხილავია klasi2 კლასში
- c. klasi2 კლასის cvladi2 ცვლადი ხილულია klasi1 კლასში

### Question 3

რომელი მსჯელობაა სწორი:

Select one:

- a. წინაპარი კლასი არ შეიძლება იყოს მემკვიდრე სხვა კლასებისათვის
- b. მემკვიდრე კლასი არ შეიძლება იყოს წინაპარი სხვა კლასებისათვის
- c. მემკვიდრე კლასი შეიძლება იყოს წინაპარი სხვა კლასებისათვის

### Question 4

თუ მემკვიდრე კლასი არ ახდენს წინაპარი კლასის აბსტრაქტული მეთოდების რეალიზებას, მაშინ ეს მემკვიდრე კლასი გამოცხადებული უნდა იყოს როგორც:

Select one:

- a. ვირტუალური
- b. სტატიკური
- c. აბსტრაქტული

### Question 5

თვისება არის კლასის წევრი, რომელიც საშუალებას გვაძლევს:

Select one:

- a. ვიმუშაოთ მხოლოდ წილადებთან
- b. ვიმუშაოთ მხოლოდ მასივებთან
- c. მეთოდების საშუალებით მივიღოთ ან შევცვალოთ ცვლადების მნიშვნელობები

#### Question 6

ბინარული ოპერატორების გადატვირთვისას:

Select one:

- a. ერთ-ერთი ოპერანდი უნდა იყოს წილადი ტიპის
- b. ერთ-ერთი ოპერანდი უნდა იყოს მთელი ტიპის
- c. ერთ-ერთი ოპერანდის ტიპი უნდა ემთხვეოდეს იმ კლასის ტიპს, რომლისთვისაც ხდება ოპერატორის ხელახალი განსაზღვრა

#### Question 7

დელეგატი არის ობიექტი, რომელიც:

Select one:

- a. მეთოდს არ მიმართავს
- b. ობიექტს მიმართავს
- c. მეთოდს მიმართავს

#### Question 8

ფართოსამაუწყებლო მოვლენა ბევრ ობიექტს საშუალებას:

Select one:

- a. აძლევს რეაგირება მოახდინოს მოვლენის შესახებ უწყებაზე
- b. აძლევს რეაგირება არ მოახდინოს მოვლენის შესახებ უწყებაზე
- c. არ აძლევს რეაგირება მოახდინოს მოვლენის შესახებ უწყებაზე

#### Question 9

რომელი მსჯელობაა სწორი:

Select one:

- a. მოვლენა არის ავტომატური უწყება რაიმე მომხდარ მოქმედებაზე
- b. მოვლენა არის სტატიკური მეთოდის რეალიზება
- c. მოვლენა არ არის ავტომატური უწყება რაიმე მომხდარ მოქმედებაზე

#### Question 10

```
public interface ChemiInterpeisi { ... }  
class Klasi1 : ChemiInterpeisi { ... }  
class Klasi2 : ChemiInterpeisi { ... }  
{
```

```
Klasi1 Samkutxedi = new Klasi1(gverdi1, gverdi2, gverdi3);  
Klasi2 Otxkutxedi = new Klasi2(gverdi1, gverdi2);  
ChemiInterpeisi obieqti;  
obieqti = Samkutxedi;  
obieqti = Otxkutxedi;  
}
```

კოდში obieqti ობიექტი გამოცხადებულია როგორც:

Select one:

- a. მიმართვა Otxkutxedi ინტერფეისზე
- b. მიმართვა ChemiInterpeisi ინტერფეისზე
- c. მიმართვა Samkutxedi ინტერფეისზე

### Question 11

სახელების სივრცე კლასების სახელებს შორის კონფლიქტს:

Select one:

- a. იწვევს
- b. თავიდან არ გვაცილებს
- c. თავიდან გვაცილებს

### Question 12

განსაკუთრებული სიტუაცია არის სიტუაცია, რომელიც:

Select one:

- a. გამოწვეულია პროგრამის შესრულების დროს აღძრული შეცდომის მიერ
- b. არ არის გამოწვეული პროგრამის შესრულების დროს აღძრული შეცდომის მიერ
- c. არ იწვევს პროგრამის ავარიულად დამთავრებას

### Question 13

finally ბლოკის კოდი:

Select one:

- a. არასოდეს არ შესრულდება
- b. შესრულდება მხოლოდ catch ოპერატორში
- c. ყოველთვის შესრულდება

### Question 14

C#-პროგრამები მონაცემების შეტანა-გამოტანას ახდენს:

Select one:

- a. ნაკადების საშუალებით
- b. მოვლენების საშუალებით

- c. ინდექსატორების საშუალებით

### Question 15

TextReader კლასის Read() მეთოდი:

Select one:

- a. კითხულობს შესასვლელი ნაკადის მომდევნო სიმბოლოს და გასცემს მის წილად წარმოდგენას
- b. წერს შესასვლელი ნაკადის მომდევნო სიმბოლოს და გასცემს მის მთელრიცხვა წარმოდგენას
- c. კითხულობს შესასვლელი ნაკადის მომდევნო სიმბოლოს და გასცემს მის მთელრიცხვა წარმოდგენას

### Question 16

რომელი მსჯელობაა არასწორი:

Select one:

- a. ფაილებთან შესაძლებელია პირდაპირი მიმართვა
- b. ფაილებთან შესაძლებელია ლოგიკური მიმართვა
- c. ფაილებთან შესაძლებელია მიმდევრობითი მიმართვა

### Question 17

FileInfo კლასის Name თვისება:

Select one:

- a. გასცემს ფაილის სახელს
- b. გასცემს ფაილის ზომას
- c. გასცემს ფაილის გაფართოებას

### Question 18

მონაცემების სინქრონული შეტანა-გამოტანის დროს:

Select one:

- a. ჩერდება პროგრამის შესრულება
- b. არ ჩერდება პროგრამის შესრულება
- c. იწყება პროგრამის შესრულება

### Question 19

MemoryStream კლასის SetLength() მეთოდი ახდენს:

Select one:

- a. ბუფერის ზომის შემცირებას
- b. ბუფერის ზომის გაზრდას

### Question 20

e.Graphics.FillRectangle(System.Drawing.Brushes.Green, 5, 10, 20, 20) მეთოდში რას განსაზღვრავს 5,10 პარამეტრი

Select one:

- a. მარტკუთხედის ზომას
- b. კოორდინატებს